პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელ-არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ. წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

148 (1143) | ხუთშაბათი, 26 აგვისტო 1926 წ. | 148 (1143)

## გამოშვების წინ

ახლო მომავალში მოხდება ლეგიონის სკოლების კურსანტების გამოშვება. მათი სახით ჩვენს წითელ ჯარს შეემატება უმცროს მეთაურთა ახალი კადრი. სამხედრო ტეხნიკისა და ტაქტიკის განვითარების ეხლანდელ საფეხურზე უმცროს მეთაურის როლი მეტად დიდი და საპასუხისმგებლოა. რამდენად მაღლა სდგას თავის სამხედრო ცოდნით და გამჭრიახობით უმცროსი მეთაური, იმდენად მაღალია იმ სამხედრო ნაწილის ბრძოლის უნარი და ძალა, რომელსაც ის მეთაურობს.

უმცროსი მეთაური პირველი, უახლოესი უფროსია წითელ არმიელის. ყოველ დღიური სწავლებასა და ცხოვრებაში ის მუდამ ახლოს იმყოფება წითელ არმიელთა მასასთან და კარგად არის გაცნობილი მის განწყობილებასა და სულისკვეთებასთან. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ქმნის უმცროს მეთაურს წითელ არმიელის პირველ მასწავლებლად არა თუ სამხედრო მომზადების დარგში, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ გათვითცნობიერების საქმეშიც.

ამიტომაც უმცროსი მეთაურის მთავარი ძირითადი მოვალეობაა წითელ არმიელისაგან აღზარდოს სამხედრო საქმეში კარგად დახელოვნებული, დისციპლინიანი, პოლიტიკურად განვითარებული, მუშების და გლეხების ინტერესების ერთგული დამცველი მეომარი.

ეს არ არის ადვილი ამოცანა. ამისათვის საჭიროა თვით იყოს კარგად მომზადებული სამხედრო საქმეში და პოლიტიკურ დარგში. აგრეთვე უნდა ჰქონდეს სათანადო პრაქტიკული გამოცდილება წითელ არმიელთა მასასთან მიდგომის საქმეში.

ასეთია უმცროსი მეთაურის როლი წითელ ჯარში. ეს როლი კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული ლეგიონის სკოლის კურსანტებს. თავისი მომავალი მუშაობის სირთულე და პასუხისმგებლობა მათ აქედანვე უნდა გაითვალისწინონ.

ამიტომაც, არც ერთი საათი, არც ერთი წუთი სკოლის კედლებში ყოფნის დროს არ უნდა იქნას ტყვილად გაცდენილი. მთელი დრო, მთელი ენერგია და ძალა უნდა მოხმარდეს მზადებას უმცროს მეთაურის თანამდებობაზე.

მით უმეტეს, რომ ცოტა დრო დარჩა სწავლის კურსის დამთავრებამდე. ნუ დაივიწყებენ ლეგსკოლის კურსანტები, რომ მათ მოუწევთ მუშაობა ახალწვეულებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს წინასწარი წვევამდე მზადება. სამხედრო ცოდნის მიღების მხრივ, ისინი უფრო მეტ მოთხოვნილებებს წარუდგენენ წითელ ყაზარმას, ე. ი. თავის მეთაურებს, ვიდრე წინა წლეების გაწვევები. მაშასადამე ახლად გამოშვებულ უმცროს მეთაურს მოუხდება თავის ახალ თანამდებობაზე ყოფნის პირველ დღიდანვე გამოიჩინოს მთელი თავისი სიმწიფე წითელი მებრძოლის სამხედრო და პოლიტიკურ აღზრდის საქმეში, მოიპოვოს წითელ არმიელთა მასაში საუკეთესო მეთაურის—ამხანაგის ავტორიტეტი.

ემზადე ახალო მეთაურო!

# ინგლისის მალაროს პატრონების ცდები.—გაფიცულთა სიმტკიცე კერძო შეთანხმებებით.—დამარცხდა.

## პოლონეთში გაიფიცა ვარშავის რკინის-გზის სახელოსნოს მუშები

### საბერძნეთის მთავრობა, რომელიც ამ დღეებში ჩამოგდებულ იქნა, გადაცემულია უზენაეს სასამართლოზე

## მეპატრონეების ცდები დამარცხდა

ნოტინგამშირში (ინგლისში) მეპატრონეებმა შეთქვეს პირი და სცდილობდენ ცალკე ხელშეკრულების დადებით გაფიცულთა მტკიცე პოზიციის გატეხას. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. მუშაობა განაახლა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა იმ რიცხვიდან, რომლებმაც გასულ კვირაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

დანარჩენებმა კი უკანვე წაიღეს თანხმობა მუშაობის განახლების შესახებ ბელადების მოწოდების მეოხებით.

## ბრძოლა გრძელდება

ინგლისის მთა-მადნის მუშათა ბელადები გაემგზავრენ სხვ დასხვა ოლქებში.

კუკი და კავშირის აღმასკომის სხვა წევრები გაემგზავრენ ნოტინგემშირის ნახშირის რაიონებში, რათა მოუწოდონ მაღაროს მუშებს მტკიცე ბრძოლისაკენ. ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ და მთა-მადნის მუშათა კავშირის აღმასკომმა გამოუშვეს მოწოდება,—გააძლიერონ დახმარება გაფიცულებზე.

## რამდენი იზარალეს კაპიტალისტებმა

ინგლისის კაპიტალისტებმა გაფიცვების გამო იზარალეს 3.200 მილიონი მანეთი.

## მემამულეების ქვეყანაში.

### პოლონეთში გაიფიცა რკინის გზის სახელოსნოს მუშები.

ხელფასის შემცირების გამო ვარშავაში გაიფიცა რკინის გზის სახელოსნოს მუშები. გაფიცვებით იმუქრებიან აგრეთვე ამავე დარგის მუშები კრაკოვში. მოსალოდნელია გაფიცვები მოედოს მთელი პოლონეთის რკინის გზის სახელოსნოებს.

## გადატრიალება საბერძნეთში.

### პანგალოსი დაატუსაღეს.

ამ დღეებში საბერძნეთში ჩამოგდებულ იქნა პანგალოსის მთავრობა. როცა პანგალოსი ციხეში მიჰყავდათ, ბრბომ ქვები დაუშინა ავტომობილებს და სურდა პანგალოსის თვითგასამართლება.

ათინიდან იუწყებიან, რომ პანგალოსის ჩამოგდება არავითარ ცვლილებას არ შეიტანს საბერძნეთის საგარეო პოლიტიკაში.

პანგალოსი და მისი ყოფილი მინისტრები გასამართლებულ იქნებიან.

## ინგლისის მემაღაროელების გაფიცვა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება.

მალე ოთხი თვე შესრულდება, რაც მემაღაროელების გაფიცვა გრძელდება ინგლისში. სამთამადნო მრეწველობის მუშები უმაგალითო გმირობას იჩენენ კლასიურ მტერთან ბრძოლაში. მათი ნებისყოფა და სიმტკიცე ვერ გასტეხა ვერც ინგლისის პროფმოძრაობის ბელადების ღალატმა, ვერც ბოლდუინის მთავრობის რეპრესიებმა, ვერც სამღვდელოების „მუდარამ“, ვერც თავისი ხელმძღვანელების ზოგიერთ შეცდომებმა, ვერც შიმშილმა.

მუშები მტკიცედ დგანან თავისი მოთხოვნილებების პოზიციებზე და ერთი ბიჯითაც არ იხევენ უკან. მწარმოებლებმა ბევრჯერ სცადეს მათი მთლიანი ფრონტის გარღვევა და მით გაფიცულების დამარცხება, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მემაღაროელები შეუდრეკლად იცავენ ერთობას და მთლიანობას. უნდა ითქვას, რომ რაც დღე მიდის ბრძოლა მით უფრო და უფრო უძნელდებათ მაღაროს მუშებს. უფრო გაძლიერებული ხდება მწარმოებლების შეტევა მათზე, მეორეს მხრივ მატერიალური გაჭირვება უკიდურეს საზღვრამდე მიდის. ამას თუ დაუმატებთ მოღალატე გენერალური საბჭოს ცდებს, როგორმე შიგნიდან გასტეხონ ციხე, ე. ი. დაიყოლიონ მემაღაროელები დათმობაზე, ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რა დიდ საფრთხეში ვარდება მემაღაროელების გაფიცვა, რომლის დამარცხება მთელი ინგლისის მუშათა კლასის დამარცხებას უდრის. და არა თუ ინგლისისა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისაც.

ცხადზე უცხადესია, როცა ინგლისის მუშები დამარცხდებიან, ამით საბაბი მიეცემათ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებსაც უფრო მაგრად მოუჭირონ ექსპლოატაციის მუხრუჭი თავის ქვეყნის მუშებს. ამიტომაც ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ არ დამარცხდენ ინგლისის მემაღაროელები.

რა არის ამისთვის საჭირო? ერთი ორად გადიდებულ იქნას მატერიალური დახმარება გაფიცულებისადმი. მით უფრო მტკიცე იქნება თავის ბრძოლაში ინგლისის სამთამადნო პროლეტარიატი, რაც უფრო მეტი მატერიალური საშუალებები ექნება მას.

საბჭოთა კავშირის მუშებმა დიდი დახმარება გაუწიეს და კიდეც უწევენ თავის ინგლისელ ძმებს. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის შემოწირულებები გაფიცულ ინგლისელ მემაღაროელების სასარგებლოდ. მაგრამ მარტო საბჭოთა კავშირის მუშების დახმარება არ კმარა. საჭიროა ყველა ქვეყნის მუშების აქტიური მონაწილეობის მიღება ამ დახმარებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მემაღაროელები ვერ გაუძლებენ ძლიერ მოპირდაპირეს და დამარცხდებიან. მემაღაროელების დამარცხება კი ძვირად დაუჯდება საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. ამიტომაც ინგლისის მემაღაროელებს ზურგი უნდა გაემაგროს, რაც არ უნდა დაჯდეს! ტყვილად არ უნდა ჩაიაროს მისი ოთხი თვის გმირულმა ბრძოლამ.

—ე.

## რუმინეთი იარაღდება

დეპეშების ცნობით, რუმინეთის მთავრობამ დიდძალი შაშხანა დაუკვეთა იტალიას.

## საბჭოთა კავშირში

### დანიშვნები სამხედრო უწყებაში

წითელი არმიის მთავარი ინსპექტორი და რევსამხსაბჭოს წევრი სერგეი სერგეის ძე კამენევი ინიშნება არმიის მთავარ სამმართველოს უფროსად.

წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსი ლევიჩევი ინიშნება წ. ა. მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

რევსამხსაბჭოს ბრძანებით გათავისუფლებულია თანამდებობიდან წ. ა. სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსი ვიაჩესლავ ივ. ზოფი და მის მაგივრად ინიშნება რომუალდ ადამის ძე მუკლევიჩი. ზოფი განთავისუფლებულია აგრეთვე რევსამხსაბჭოს წევრობიდან და მის მაგივრად ინიშნება მუკლევიჩი.

## ქალთა გასამხედროება.

სსრკ-ს ცაკის დადგენილებით, უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტ ქალებისთვისაც სავალდებულოა სამხედრო სწავლა.

ქალები, რომლებიც გაივლიან უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო სწავლას, სამხედრო მეთაურის წოდებას არ მიიღებენ, მაგრამ ომის დროს შეასრულებენ ინჟენრის, ექიმის და სხვა მოვალეობას სამხედრო-სამრეწველო, სანიტარულ და სხვა დაწესებულებებში და არმიის სხვა და სხვა ორგანოებში.

## საქართველოში.

### სამხედრო უწყების სახლების შეკეთება

ტფილისში სამხედრო უწყებაზე გადაცემული 17 სახლი, რომელთაც შეკეთება სჭირდება. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს სამხედრო უწყებას 20 ათასი მანეთი საცხოვრებელ ბინების შესაკეთებლად.

შემდგარია კომისია არმიის ზოგიერთ სამმართველოს ყაზარმის ბინებზე გადასატანად.

გათავისუფლებული ბინები მიეცემათ საცხოვრებლად მეთაურთა შემადგენლობის პირთ. დადგენილია აგრეთვე ჩატარდეს შემჭიდროება სამხედრო უწყების სახლებში.

## ცხენთა გადარბენის მონაწილენი სოხუმში მივიდნენ

### საუბარი ამხ. ამხ. ჩაიკოვსკისა და აღნიაშვილთან

გუშინ, დილის 3 საათზე სოხუმში შევიდენ ცხენთა გადარბენის მონაწილეები,—ორი დღით ადრე, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

გადარბენის ორგანიზატორებმა—კ. წ. დ. ა. ცხენოსანი ჯარების ინსპექტორმა ჩაიკოვსკიმ და მეორე ქართულ დივიზიის უფროსმა აღნიაშვილმა საუბარში განაცხადეს, რომ გადარბენის მიზანი იყო ცხენების გამძლეობის გამოცდა მთებში მოძრაობის დროს.

ჩაიკოვსკის აზრით, გადარბენამ დაამტკიცა, რომ ყაბარდოს ცხენებმა გამოცდები დაიჭირეს. „ვენგერკების“ შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. მათი ნაკლია ახოვანი ტანი.

საკვირველი ამტანიანობა გამოიჩინეს რუსულ, უბრალო ჯიშის ცხენებმა.

გადარბენის მიზანი იყო აგრეთვე უდიდესი სიჩქარის გამორკვევა მთებში.

ჩაიკოვსკიმ, რომელმაც შეასრულა გადარბენა იაკუტიაში, მონღოლეთსა და ციმბირში, განაცხადა, რომ ლენინაკან—სუხუმის გადარბენა მისთვის ყველაზე ძნელი და საშიშარი იყო.

ლენინკანიდან გადარბენის მონაწილენი გამოვიდენ 7 აგვისტოს და გაიარეს 850 ვერსი. დღე და ღამეში ისინი გადიოდენ 65-დან 100 ვერსამდი.

მათ გადაიარეს 14 უღელტეხილი; მათ შორის მეტად ძნელი აღმოჩნდა უტვირი და ხიდუ.

23 მონაწილედან სოხუმს მიაღწია ოცდაერთმა.

ერთი ცხენი გამოეთიშა რიგებს ფლოქვის გაფუჭების გამო, მეორე გადავარდა დაკიდულ ხიდიდან.

გადარბენის მონაწილენი საღად და მხნედ გრძნობენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ თბილი ტანსაცმელი არ აქვთ.

მათ მიიღეს მილოცვის დეპეშები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

# საერთო ტერიტორიალური შეკრების წინ

## ემზადეთ ერთად

ამჟამად ტერნაწილების კადრები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ და ემზადებიან უფროსი ჰასაკის ცვალებადელთა შეკრებისთვის. მთელი საშუალო და უმცროსი უფროლიტ-შემადგენლობა გაძლიერებით ამუშავებენ პროგრამას, ადგენს კონსპექტებს და მეცადინეობის გეგმებს.

ყველაფერი ეს კეთდება იმისთვის, რათა შეკრების პროგრამა სავსებით და უნაკლოდ იქნას ჩატარებული. თვითეულ ტერშეკრებაზე სასტიკადაა გაანგარიშებული დრო.

აი, რატომ კარგად უნდა ვემზადოდ შეკრებისთვის.

ემზადებიან არა მარტო მეთაურები და კურსანტები, რომელთაც მოუხდებათ შეკრებაზე უმცროს მეთაურების მოვალეობათა ასრულება. ემზადებიან კადრის რიგის მეომრებიც, იმიტომ რომ შეკრებაზე ისინი მაგალითს უნდა წარმოადგენდენ ცვალებადლისთვის სამხედრო საქმის ცოდნაში.

მაგრამ მარტო კადრის მომზადება შეკრებისთვის არ კმარა.

საჭიროა, რათა პირველ რიგში შეკრებაზე სწავლების ჩასატარებლად მომზადებულ იქნას თვით ცვალებადი შემადგენლობა.

თვითეულ ცვალებადელმა უნდა გასინჯოს თავის თავი: მზადაა თუ არა ის მომავალ შეკრებისთვის?

და თუ რომ ის იგრძნობს თავს რაიმეში სუსტად, უნდა შეეცადოს—გამოასწოროს ნაკლი. მას ამ საქმეში დახმარებას გაუწევს სამხედრო კუთხე და ამხანაგები.

შეკრებისთვის უნდა ემზადონ როგორც კადრი, ისე ცვალებადი შემადგენლობაც.

 კ—ვი.

## შემოდგომის ტერშეკრება და სკოლის გარეშე მუშაობა

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყება ტერშეკრება. წელს ჩვენ გვაქვს შარშანდელ შეკრების პრაქტიკა, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს შემოდგომის ტერშეკრების ჩატარებაში. [illegible] ტერარმიელების აქტიური [illegible] პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში. [illegible] პოლიტ-საგანმანათლებლო [illegible] ტერარმიელების [illegible] უნდა გავიგოთ, თუ რომელი [illegible] გამოვყოთ აქტივი და ეს აქტივი [illegible] უნდა გადავაქციოთ, დანარჩენ ტერ-არმიელების მისაზიდავათ. ამ შემთხვევაში მაგალითის მაჩვენებელი იქნება ტერარმიელები პარტ და კომკავშირის წევრები—მათ მოწინავე ადგილი უნდა დაიკავონ საერთო პოლიტიკურ მუშაობაში. [illegible] შავებს მათ.

საბიბლიოთეკო დარგიც თვალსაჩინოა ამ შეკრების დროს; ოღონდ არ უნდა შევქმნათ საბიბლიოთეკო—საბიბლიოგრაფიო წრეები—ესენი გამოუსადეგარია ამ მცირე ვადიან შეკრების დროს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს „წიგნის მეგობართა" მიზიდვას ლეგიონის ბიბლიოთეკისაკენ. ტერარმიელები ბიბლიოთეკის საშუალებით არა მარტო შეკრების დროს, არამედ შეკრებათა შორის პერიოდშიც მჭიდროთ უნდა დაუკავშირდენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს—ისინი უნდა გახდენ მუდმივ მკითხველათ მისი ლეგიონის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი.

ბიბლიოთეკის მიერ ცალკე გაზეთის გამოშვება ვერ მოგვცემს კარგ ნაყოფს; ამით ჩვენ მხოლოდ დავაქუცმაცებთ ჩვენს აქტიურ ძალებს. საჭიროა მთელი სამხკორთა და აქტივ-ტერარმიელთა შემოკრება ლეგიონის პარტბიუროს ორგანო—კედლის გაზეთის ირგვლივ და შიგ საჭიროების და მიხედვით გაუშვათ საბიბლიოთეკო შინაარსის წერილები ან შევქმნათ მუდმივ განყოფილება „ჩვენს ბიბლიოთეკაში"—ან სხვა რაიმე სათანადო სახელწოდებით.

საერთოდ ჩვენი სკოლის გარეშე მუშაობამ ერთის მხრივ, უნდა გაუწიოს დახმარება ტერ-არმიელების სამხედრო ცოდნის დონის აწევას (ლენკუთხე, სამხედრო საუბრები, სამოქ. ომიდგან—მხატვრული სახით, სამხედრო თამაშობის მოწყობა; სპორტ-სავარჯიშოები და სხვა); და მეორე მხრივ შეაგნებინოს ტერარმიელს, რომ მისი ზნეობრივი ვალდებულებაა დაუკავშირდეს ლეგიონს შეკრებათა შორის პერიოდშიაც.

ყოველი პოლიტ-მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს ეს ამოცანები, რომელიც გადაუდებელია და უსაჭიროესი ჩვენი ტერნაწილების სინამდვილით. ყოველი რიგის ტერარმიელებმა და პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება შემოდგომის ტერშეკრების სალათ და ცოცხლათ ჩატარებას და ტერარმიელების დაკავშირებას შეკრებათა შორის პერიოდშიაც.

დ. ჰანტურიშვილი.

## რად ტარდება მოკლევადიანი შეკრება ცვალებად შემადგენლობის მეომრის სამსახურის შესახებ.

ახალწვეულები, რომლებსაც გაუვლიათ ტერნაწილებში [illegible] ჯარის ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, [illegible] შეკრებაზე [illegible] 2 თვისა.

რისთვის არის ამ საერთო შეკრების ამოცანები?

ცალკეული მომზადება ტერნაწილში [illegible] შეკრებაზე. ჯარების საერთო [illegible] მომზადება.

საერთო შეკრების დროს ჯარები [illegible] ჯარების.

ჯარების ურთიერთ [illegible] შემადგენლობაში [illegible] რებათა შორის პერიოდში შვებულებაში იმყოფებიან.

სპეციალურ ნაწილებში—მესანგრე, საკავშირო და ცხენოსან ნაწილებში შეკრება ტარდება 2 [illegible] შეკრება ტარდება 2-3-ჯერ 2-3 დღით.

ამ შეკრებაზეც ისინი [illegible] შეკრების გარეშე მუშაობას.

მოკლევადიანი შეკრების ცვალებადი შემადგენლობა [illegible] ადევნოს ბრძანებებს შეკრების შესახებ და თავის დროზე გამოცხადდენ. ეს არის ტერნაწილის საბრძოლო უნარიანობის თავდები.

ფ. ქ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ლენინის გზით

### ცხენ. ლეგიონი

19 აგვისტოს შესდგა კომკავშირის დახურული კრება.

დღის წესრიგში იყო მოხსენება 1. პარტიის ოპოზიციის შესახებ და 2. შვებულ კომკავშირელის მუშაობა სოფლად.

მომხსენებელმა ამხ. კვერნაძემ ნათლად დაახასიათა ოპოზიციის რაობა და მისი უარყოფითი მნიშვნელობა პარტიის მთლიანობისთვის. კრება დიდის ინტერესით ჩატარდა. ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. იყო მრავალი შეკითხვები.

კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია ოპოზიციის მუშაობა.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩახაიამ, რომელმაც აღნიშნა შვებულ კომკავშირელის როლი სოფლად მუშაობაში და მიუთითა ამხანაგებს მუშაობისთვის საჭირო მასალებზე.

ბოლოს გაირჩა სხვა და სხვა პირბოროტო საკითხები ლეგიონის ცხოვრებიდან.

20 აგვისტოს გაიმართა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება პარტიის ოპოზიციის შესახებ. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება უერთდება პლენუმის დადგენილებებს.

შემდეგ გაშვებულ იქნა სურათი „მამის მკვლელი", რომელსაც წითელ არმიელებს გარდა დაესწრნენ აგრეთვე გარეშე სტუმრებიც. სურათმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე.

პ. კახიძე.

## პარტიის მთლიანობისათვის

### (2-ე არტლეგიონი)

20 აგვისტოს შესდგა კომუჯრედის მორიგი კრება კომკავშირთან ერთად. დღის წესრიგში იყო ც. საქ. კ. პლენუმის გადაწყვეტილებების გაშუქება.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბერიძე, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ოპოზიციის მუშაობა და მიზანი და აღნიშნა, თუ რა ზიანის მოტანა შეეძლო მათ ასეთ მუშაობას პარტიის მთლიანობისთვის.

კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. ბერიძის მოხსენება, ჩვენ კომუჯრედის წევრები მთლიანად ვეთანხმებით ს. კ. პ. (ბ) პლენუმის დადგენილებებს და ფიცს ვსდებთ, რომ ჩვენ არასოდეს არ გადაუხვევთ იმ მიზანს, რომელიც ამხ. ლენინმა გვიანდერძა.

ალ. კ—ძე.

## ჩვენს კომუჯრედში

### (3-ე ლეგ. 1 ლი ასეული)

13 აგვისტოს შესდგა 1-ლი კომუჯრედის ღია კრება. დღის წესრიგში იყო ივლისის თვის სამუშაო გეგმის დამტკიცება და პარტწესდების განმარტება. წესდება უცვლელად იქნა დამტკიცებული.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. წოწონავამ, რომელმაც განუმარტა კრებას წესდების მუხლები, თუ ვინ შეიძლება მიღებულ იქნას პარტწევრად, ან კანდიდატად და მასთან რამდენი კატეგორია შედის შიგ.

შემდეგ წაკითხულ იქნა პარტიის კანდიდატთა სია, რომლებიც თხოულობდენ პარტიაში გადარიცხვას,—დახასიათებულ იქნა თვითეული ამხანაგი, რომლებიც კრებამ დაამტკიცა პარტწევრებად. მიმდინარე საკითხებში არაფერი აღმოჩნდა.

საერთოდ უჯრედის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ბიკაშვილი.

# 1904 წლიანების გასაწვევად

## ვინ რა ნაწილში მოხვდება

### ახალწვეულთა განაწილება სხვა და სხვა გვარი იარაღის ნაწილებში

თვითეულ წითელ არმიელთათვის, რასაკვირველია, საინტერესო იქნება გაიგოს, თუ რა მოთხოვნილება წარედგინება წითელ არმიელს ამა თუ იმ გვარი იარაღის ჯარში დასანიშნავად. თუ ეს მოთხოვნილებები ეცოდინება, ის წინასწარ შეატყობს, თუ სად იქნება ის დანიშნული გაწვევის დროს.

#### ქვეითა ნაწილში

ინიშნებიან ფიზიკურად განვითარებული, ღონიერი, ამტანი, საღი მხედველობისა და სმენის ახალწვეულები. ქვეითა ჯარში დასანიშნავად საჭიროა, რათა გასაწვევი სიმაღლით იყოს არა ნაკლები 153 სანტიმეტრისა. აქ ინიშნებიან შემდეგი სპეციალობის მუშები: ზეინკლები, დურგლები, პურის მცხობლები, მკერავები, მეწაღეები და სარაჯები (ცხენის მოწყობილობის მოხელეები).

საკანცელარიო და ხაზვის საქმეს გაცნობილნი ინიშნებიან მომეტებულად შტაბებსა და სამმართველოებში.

#### არტილერიაში

ინიშნებიან მაგარი აგებულობის მოქალაქეები, ფართე მხარბეჭით, სწორად განვითარებული მკერდით. კარგი მხედველობითა და სმენით, რომლებსაც არ გაუჭირდებათ მძიმე ქვემეხებზე მუშაობა. მომეტებულად არტილერიაში ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებმაც იციან რაიმე ხელობა და პირველ რიგში—მჭედლობა, ზეინკლობა, აგრეთვე—ხე-ფიცრის საქმის მოხელენი.

არტილერიაში ინიშნებიან გაწვეულები, რომელთა სიმაღლე არ უნდა იყოს 160 სანტიმეტრზე ნაკლები.

#### ჯავშნოსან ნაწილებში

პირველყოვლისა ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ აიტანონ ხანგრძლივად მაღალი ტემპერატურა (სიცხე), ცეცხლფარეშები, ლუმელებზე მომუშავეები, ფიზიკურად ძლიერნი, ნორმალური მხედველობით, წერა-კითხვის მცოდნენი და განვითარებულნი, პირველ რიგში—შოფერები, მათი თანაშემწეები, მოტოციკლეტისტები, ელექტრო მანტიორები, მელითონეები (რომლებიც გაცნობილი არიან შინაწვის ორთქლით მამოძრავებელთან), აგრეთვე ორთქლმავალის მოხელეები, ლიანდაგის დამგებნი, ზეინკლები და მჭედლები. ჯავშნიან ნაწილებისთვის მაღალი ტანის მეომარი არაა საჭირო. ის უნდა იყოს არა უმაღლეს 166 სანტიმეტრისა.

#### ცხენოსანში

ინიშნებიან მაგარი აგებულობის, კუნთებიანი, უსათუოდ არა მოკლე ფეხებით, კარგი სმენისა და მხედველობის მქონელნი, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც აქვთ ცხენის მოვლის გამოცდილება, ვინც იცის ჭედვა და სასარაჯო საქმე.

მოქალაქე უნდა იყოს არა უდაბლესი 160 სანტიმეტრისა და არა უმაღლესი 174 სანტიმეტრის; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წონას: 4 ნახევარ ფუთიანს ზევით ცხენოსან ჯარში არ დიინიშნება.

#### საკავშირო ჯარებში

ინიშნებიან ელექტროტეხნიკოსები, სხვა და სხვა სისტემის აპარატების ტელეგრაფისტები, ელექტრომონტიორები, მოტოციკლების წამყვანნი, ზეინკლები და სამანქანო საქმის მცოდნენი. საკავშირო ჯარებში ინიშნებიან აგრეთვე სატელეგრაფო ქსელის ყველა სპეციალისტები, როგორიცაა: ტელეგრაფისტები, ზედამხედველები, მექანიკოსები, მონტიორები, ხაზისა და ტელეფონის მომუშავენი, რადიო-მექანიკოსები, რადიო-ტელეგრაფისტები და ყველა, რადიო-ტელეგრაფის საქმეს გაცნობილი პირები. ამას გარდა ინიშნებიან აგრეთვე სპეციალისტი მონადირეები—მტრედების სადგურებსა და სამხედრო ძაღლების გასაწვრთნელ ნაწილებში.

#### საინჟინერო და შენიღბვის ჯარებში

ინიშნებიან: მესანგრე ნაწილებში—დურგლები, მჭედლები, ზეინკლები, მეხიდეები, მიწის მთხრელები, მეღუმელეები, ქვის ხელოსნები, მხურავები, მღებავები, ჭის მთხრელნი, მემალაროენი, გვირაბის მთხრელები და სხვა.

#### საავტომობილო ნაწილებში

ინიშნებიან შოფერები, მექანიკოსები, მოტოციკლეტის წამყვანნი, ზეინკლები, ხარატები, ავტოლითონის ხელოსნები, ხე-ფიცრის საქმის მოხელენი.

#### ელექტრო ტეხნიკურ ნაწილებში

ინიშნებიან ელექტრო-ტეხნიკოსები ძლიერი ჩქერის, ელექტრომონტიორები და მექანიკოსები, ზეინკლები, შოფერები. უკანასკნელნი უნდა იყვნენ აუცილებლად კარგი მხედველობისა და ფერების კარგად შემგრძნობნი.

#### საპონტონო ნაწილებში

ინიშნებიან მაგარი აგებულობის, საშუალო და საშუალოზე ნაკლები ტანის, ფართე მხარ-ბეჭით, სწორად განვითარებული მკერდით. სპეციალობის მხრივ აქ საჭიროა მეთევზეები ან და საერთოდ მდინარეებისა და წყლის რაიონების მცხოვრებლები, მემოტორეები, დურგლები, მჭედლები და მღებავები.

#### რკინის გზის ნაწილებში

ინიშნებიან რკინის გზის მოსამსახურეები, რომელთაც გაუვლიათ სპეციალურად სარკინისგზო წვევამდე მომზადება. გარდა ამისა საავტომობილო და შემნილბავ და რკინის გზის ნაწილებში დაინიშნებიან კარგი მხედველობისა და ნერვების მქონე პირები.

#### ქიმიურ ნაწილებში

ინიშნებიან ფიზიკურად ძლიერნი, კარგად განვითარებული მკერდით, საღი სასუნთქი ორგანოებით, საღი გულით, კარგი ყნოსვითა და მხედველობით, და პირველ რიგში ქიმიურ მრეწველობაში ნამუშევარნი.

#### საჰაერო ფლოტში

ინიშნებიან კარგი მხედველობით, მაგარი ნერვებით, კარგი წერა-კითხვის მცოდნენი, განსაკუთრებით საზეინკლო, სადურგლო, სამანქანო, სამოტორო საქმის მცოდნენი და ყველა საავიაციო-საავიამშენებლო ქარხნებსა და სახელოსნოებში მომუშავენი.

#### საზღვაო ფლოტში

ინიშნებიან ფიზიკურად ძლიერნი, კარგი მხედველობითა და სმენით, წერა-კითხვის კარგად მცოდნენი, განსაკუთრებით გემებზე ნამუშევარნი მემანქანეებად, ცეცხლფარეშებად და სხვა, ხომალდების დურგლები, და აგრეთვე ზღვების, წყლებისა და ტბების რაიონების და სამრეწველო რაიონებში მცხოვრებნი.

#### ნუ დაჰფარავ ხელობას

გაწვეულები, რომლებმაც იციან სასანიტარო და ვეტერინარული, საფერშლო საქმე და რომელთაც გაუთავებიათ სამხედრო-სასანიტარო და სამხედრო-სავეტერინარო სკოლები, ინიშნებიან სამსახურში სანიტარულ და სავეტერინარო სპეციალობაზე.

თვითეულ ახალწვეულმა შემოწმების დროს თვითონ უნდა განაცხადოს წერა-კითხვის ცოდნის შესახებ, პარტიულობაზე, რა ხელობა იცის. თუ რომ დაჰფარავს, ან დაასახელებს სხვა რაიმე ხელობას, მას შეუძლია ზიანი მოუტანოს ჯარის შევსების საქმეს, ვინაიდან ის დაინიშნება არა სათანადო ადგილში.

# ჩვენს ტერნაწილებში

## ცხენთა გადარბენის მონაწილენი ჩვენს ნაწილში

(2 ე ასეული)

ამ დღეებში ქალაქ ონს ეწვია ცხენთა გადარბენის მონაწილენი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მცხოვრებლებში. მაგრამ ჩვენთვის უფრო სასიხარულო იყო ის, რომ მე-2 დივიზიის უფროსი, ამხ. ონიაშვილი ეწვია თავის პატარა ნაწილს—მე-2 ასეულს. მან დაათვალიერა ჩვენი სადგომები და ჰქონდა აგრეთვე საუბარი წითელ არმიელებსა და მეთაურებთან. ის დაწვრილებით გაეცნო ჩვენი ნაწილის ავ-კარგს და ადგილზევე დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილებები, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე.

ნ. გიორგობიანი.

## ჩვენი სტუმრები.

მე 4 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში უკვე მოვიდენ ცვალებად მეთაურები, რომლებიც ირიცხებიან ლეგიონში და წელიწადში რამოდენიმე კვირით იწვევენ სამეცადინოდ. ეს ამხანაგები მოსული არიან სხვადასხვა სოფლებიდან. მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ცხოვრებისა და მეცადინეობის გაცნობამ. მათი მოსვლისთანავე ლეგიონმა გამართა საღამო, რომელზედაც ნაჩვენები იყო „არსენა".

კინო-სურათს დაესწრო აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა.

საღამომ დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ოდისე.

### სოფლის მუშაკთა მოსამზადებლად.

მე-6 ლეგიონი.

ლეგიონში დაარსებულია პარტსკოლა, რომელშიაც მეცადინეობენ 1902 წელში დაბადებული კადრის წითელარმიელები და უმცროსი მეთაურები. პარტსკოლის მიზანია გაიაროს ა. ლ. კ. კ. წევრებთან და პარტკანდიდატებთან 8 საუბარი, რომლებშიაც შედის სოფლად მუშაობის საკითხები, კერძოდ, მუშაობა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა შორის. მეცადინეობა სწარმოებს ორ დღეში ერთხელ.

პ. ლობილაძე.

### დაასრულეს უმცროს მეთაურთა სკოლა.

მე-5 ლეგიონის წითელარმიელები, რომლებიც მივლინებული იყვნენ ტფილისში, მეორე დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის უმცროს მეთაურთა სკოლაში, უკვე დაბრუნდენ თავიანთ ასეულებში სკოლის დამთავრების შემდეგ.

ხელმძღვანელებისა და კურსანტების ენერგიული მუშაობის მეოხებით, სამეცადინეო პროგრამა სავსებით იქნა ასრულებული.

ს. ლომინაძე.

## ერთგული მუშაკი

(ქ. მეთ. სამხ. სკოლა)

სამწყობრო და უმწყობრო ასეულის წითელ არმიელებს ასწავლის წერა-კითხვას მასწავლებელი ქალი ყიფშიძე, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა წითელ არმიელთა შორის.

მისი მუშაობა მარტო წერა-კითხვის სწავლებით არ განისაზღვრება. ის ენერგიულ დახმარებას უწევს კურსანტებს წარმოდგენის გამართვაში, ღებულობს მონაწილეობას პიესაში სხვა და სხვა როლის ასრულებით. მადლობის ღირსია ასეთი დაუზარებელი და მუყაითი მუშაკი.

შ. ა—ლი

# წითელი მებრძოლნი მანევრებზე

## მანევრებზე გასვლა და ჩვენი კავშირი გლეხობასთან

18 აგვისტოს მთელი ჯარები დაიძრა ბანაკიდან დიდ მანევრებზე და გაემართენ სხვა და სხვა მხარეს ლურჯების და წითლების სახელწოდებით. მეორე და მესამე ლეგიონი წავიდა აღმოსავლეთით და დაბანაკდა სოფ. №-ში. ლეგიონების სოფელში მისვლამ გააკვირვა მოსახლეობა, ვინაიდან ამ სოფელში ჯერ არ ყოფილიყო ჯარი. ლეგიონებმა შესვლისთანავე მოიწვიეს კრება, სადაც გაკეთდა მოხსენებები წითელი ჯარის და სოფლის ყოფა ცხოვრებაზე.

შემდეგ დადგმულ იქნა რევოლიუციონური პიესები და გაშვებულ იქნა კინოში „არსენა ჯორჯიაშვილი". სურათმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლელებზე. ეს სოფელი შესდგება 450 კომლისგან, სადაც არის სკოლა, სამკითხველო და თეატრი. გლეხობა ძალიან ღარიბათ სცხოვრობს. არაა კოოპერატივი, წვრილი ვაჭრები და მევახშეები ტყავს აძრობენ მოსახლეობას. სასოფლო სამეურნეო იარაღები არაა გავრცელებული და არც არავინ ზრუნავს მის გავრცელებაზე,

ამ სოფლის მოზრდილ თაგან 80 პროც. წ. კ. უცოდინარი იქნება. პარტიული ორგანიზაცია და ა. ლ. კ. კ. ძალიან მოისუსტებენ მუშაობაში.

სოფელში ძალიან უსუფთაობაა, ექიმი ამ სოფელში არ არის. ეს სოფელი რევოლიუციამდე მთლიანად ყოფილა შინაყმა თავად ციციშვილისა და ერისთავის. გლეხობა ამ სოფლისა სხვის ხარჯზე ცხოვრების აზრითაა გაჟღენთილი, რაც უნდა აღმოიფხვრას მათში. ერთი სიტყვით ამ სოფელს არ ყოლია ხელმძღვანელი და თვით სოფელიც ვერ იჩენს თაოსნობას.

იმედია ამ ნაკლს გამოასწორებს მაზრის ხელისუფლება.

ბურდილაძე.

## ჩვენი ლეგიონი სტუმრად გლეხებთან

1-ლი არტლეგიონი

ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, რომ ჩვენი ლეგიონი ემზადებოდა სოფლისაკენ წასასვლელად.

საუცხოვო სურათს წარმოადგენდა ქ. გორი. მრისხანე ბუნების მიერ დაჩაგრულს, თითქოს გავიწყებოდა ვარამი და სამუდამო ზავი ჩამოეგდო ბუნებასთან. ისმოდა ჩიტების ჭიკჭიკი. ჩრდილოეთიდან მოთამაშობდა მდინარე ლიახვი, ხოლო მტკვართან მიახლოებით ის თანდათან დინჯდებოდა, ნაბიჯს ანელებდა და დაფიქრებულად მიიზლაზნებოდა, თითქოს რაღაც სერიოზული საკითხი უნდა გადაჭრას მტკვართან ერთადო. ბებერი გორის ციხე უკბილო ღიმილით გადაჰყურებდა ქალაქს.

ქალაქი ერთბაშად გამოაღვიძა მეომართა სიმღერამ. დაიძრა ლეგიონი ხიდისთავისკენ.

ცოტა ხანი და ჩვენ წითელ არმიელებს გულითადი ბაასი ჰქონდათ გლეხებთან. ზედი-ზედ გამოდიოდა გაზეთი, პლაკატები, სქემები...

შემდეგ ცეკვა-თამაში, ზურნა.

საღამო ჟამია. ამუშავდა კინოაპარატიც. მიდის არსენა. გლეხები აღტაცებით ხვდება სურათს. ეს არის პირველი სურათი სოფელში.

შემდეგ იწყება წარმოდგენა. გლეხები პირველ რიგში მიდიან თეატრში.

იხდება ფარდა. წითელარმიელი ესალმება გლეხებს. ისმის ვაშა—ტაში.

წავიდა აგიტ-პიესა „მალარია". ამას მოჰყვა ურმული და სხვა სიმღერები. გლეხები მეტად კმაყოფილი არიან.

მეორე დღეს კვლავ ამუშავდა ჩვენი აგიტ-ოთხთვალა. მიდის მუშაობა სხვადასხვა ჯგუფებში. საღამოს კვლავ იმართება წარმოდგენა. კლუბი ხალხს ვერ იტევს. ნაწილი წითელარმიელებისა და გლეხების გარეთ რჩება. მაგრამ ესენი უსაქმოდ არ ჩერდებიან. იმართება თეატრს გარეთ გლეხებისა და წითელარმიელების სიმღერა და თამაში.

მოდის წვიმა, მაგრამ წითელარმიელები თავის ალაგებს არ სტოვებენ. ვერ შეაშინებს მეომრებს დასველება. ესეც ხომ პრაქტიკაა.

საღამო 11 საათზე თავდება. გლეხები კმაყოფილი იშლებიან.

გათენებისას წვიმა თანდათან კლებულობს. მეომრები შეუდგენ ტანსაცმელის შრობას.

ა. არველაძე.

## პოლიტსაათები ჩვენს ნაწილში.

ცხენ. ლეგიონი.

ესკადრონებში სისტემატიურად ტარდება პოლიტსაათები. 1902 წელში დაბადებული წითელარმიელები დაყოფილი იქნენ ჯგუფებად. მეცადინეობას აწარმოებენ აქტიური ხელმძღვანელები—თითქმის ყველანი მეთაურებია. განსაკუთრებით გაცხოველებულია მეცადინეობა იმ წითელარმიელთა შორის, რომლებიც მალე წავლენ გრძელვადიან შვებულებაში. დიდ გულმოდგინეობას იჩენენ ეს უკანასკნელები. ჩამოყალიბებულია ბირთვები, რომლებზედაც მიმაგრებულია თითო ხელმძღვანელი.

1903 წელში დაბადებული წითელარმიელები ცალკე ჯგუფებად არიან გამოყოფილი და მათ შორის პოლიტსაათები კერძოდ ტარდება.

პ. კახიძე.

## საზამთრო ბინაზე დარჩენილ არმიელთა ცხოვრებიდან

ცხენლეგიონი

მიუხედავად იმისა, რომ საჯინიბოს შეკეთებაში დიდი მუშაობა სწარმოებს, არ შეფერხებულა მაინც პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა. არ არის ისეთი წუთი, რომელიც უქმად ტარდებოდეს.

მიუხედავად პროგრამის დამთავრებისა ყოველ მეორე დღეს სწარმოებს პოლიტსაათი. გადიან ისეთ თემებს, რომელიც აუცილებელი საჭიროა შვებული წითელ არმიელისათვის. სკოლის გარეშე მუშაობა სწარმოებს. ყოველ საღამოობით ტარდება აქტივ ჯგუფის მეცადინეობა შერჩეულ თემებზე. ამ ბოლო ხანებში ხელს გვიშლის მხოლოდ უსინათლობა, მაგრამ მის მოსაგვარებლადაც მიღებულია ზომები.

გლეხისშვილი.

## სამხედრო საავადმყოფო

სამხედრო ჰოსპიტალში კარგადაა საქმე დაყენებული. დები და ექიმები ენერგიულ მუშაობას ეწევიან.

არის ბიბლიოთეკა, რომელშიაც მოიპოვება ყოველგვარი წიგნები და ჟურნალ გაზეთები. არის აგრეთვე კარგად მოწყობილი ლენკუთხე. გასართობებიც საკმარისად მოიპოვება. ხშირად მიდის წარმოდგენები, რომლებსაც გარეშე მოქალაქეებიც ესწრებიან. გამოდის კედლის გაზეთი „წითელი სანიტარი", რომელშიაც შუქდება საავადმყოფოს ყოფა-ცხოვრება. დღემდის იყო მუშაობაში ერთგვარი დაბრკოლებები, რომლებიც ძლეულ იქნა, ასე რომ მომავლისთვის მუშაობა უფრო წარმატებით წავა.

ავადმყოფი პ. ლ.

## დროს მოუჭირნეობა ჩვენს ყაზარმაში.

ქართ. მეთაურთა სამხ. სკოლა

დავასრულეთ ბანაკობა და დავბრუნდით ყაზარმაში. ნაწილი კურსანტებისა შვებულებაში წავიდა, ნაწილიც სკოლაში დარჩა.

დრო თავისუფალი გვაქვს, მაგრამ ერთი წუთიც არ იკარგება ტყვილა-უბრალოდ.

კურსანტები გულმოდგინედ აწარმოებენ თვითგანვითარებითი მუშაობას. იკითხება პოლიტიკური წიგნები და კოლექტიურად ირჩევა სხვა და სხვა საკითხები. ჯგუფიც კითხულობს ლიტერატურულ წიგნებს, და შემდეგ მიდის გმირების გასამართლება.

არც სამხედრო საქმეს ივიწყებენ კურსანტები. სწავლობენ ტყვიამფრქვევს, კითხულობენ წესდებებს, იმეორებენ გავლილ ცოდნას.

საღამოობით იმართება საუბარი, თუ ვინ რა წიგნი წაიკითხა, რა შეხედულებაა ამა თუ იმ წიგნზე, ნაწარმოების გმირებზე და სხვა.

ასე ტარდება თავისუფალი დრო ჩვენს წითელ ყაზარმაში.

შ. გელაშვილი.

# უცხოეთის არმიებში

## ლიტვისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალები

პოლონეთში ამჟამად დიდი სამხედრო მზადება სწარმოებს, რომელიც პირველ რიგში მიმართულია ლიტვის წინააღმდეგ. ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ ჩვენ გავეცნობით ამ ორივე სახელმწიფოს შეარაღებას.

### ლიტვას პატარა არმია ჰყავს.

ლიტვის არმიაში მშვიდობიან დროს ითვლება 40 ათასი კაცი. ამ რიცხვში შედის: ქვეითი—16 ათასი კაცი (სამი ქვეითა დივიზია—სამ-სამი ლეგიონი), ცხენოსანი—1.200 კაცი (1 დივიზია—სამი ლეგიონი), არტილერია—2.200 კაცი (სამი ლეგიონი, 40 ზარბაზანი), სანაპიროელება—7 ათასი კაცი, დამხმარე ჯარები—4 ათასი კაცი, ზურგის დაწესებულებები და საჰაერო ფლოტი—10 ათასი კაცი. არის სამი ესკადრილია თვითმფრინავებისა (30 ცალი), მცირე—მძიმე არტილერია და თითქმის სრულებით არ მოეპოვება ბრძოლის უახლოესი საშუალებანი (ტანკები, ქიმიური საშუალებანი და სხვა). ამას გარდა არმიის დამხმარედ შეიძლება გამოყენებულ იქნას „მსროლელთა კავშირი"—მოხალისეთა ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს 20 ათასი კაცი.

აი, ლიტვის მთელი შეიარაღებული ძალა. ომის დროს მას შეუძლია გამოიყვანოს 200-250 ათას კაცამდე, მაგრამ გაუჭირდება მათი შეიარაღება, ისიც უახლესი, გაუმჯობესებული იარაღებით.

### პოლონეთის არმია გაცილებით ძლიერია.

მშვიდობიან დროს პოლონეთის არმიაში ითვლება 275 ათასი კაცი. ამ რიცხვში შედის—ქვეითა: 150 ათასამდე კაცი (30 ქვეითა დივიზია—ქვეითა სამი ლეგიონი და მსუბუქი არტილერია დივიზიაში); არტილერია 45 ათასამდე კაცი (30 ლეგიონი—1.080 მსუბუქი ქვემეხი, 10 ლეგიონი—360 მძიმე ქვემეხი, 10 ცხენდივიზიონი—120 ქვემეხი, ორი ლეგიონი=24 სამთო ქვემეხი და ერთი ლეგიონი—18 უმძიმესი ქვემეხი, სულ 1.700 ქვემეხამდე; ცხენოსანი ჯარი 37 ათასამდე (30 ლეგიონი არმიის და 10 ლეგიონი დივიზიონი). პოლონეთის არმია მდიდარია უახლესი ტეხნიკური მოწყობილობითა და იარაღებით. ჰყავს სამი ტანკის ათასეული (120 ტანკა), ორმოცდაათამდი ჯავშნიანი მატარებელი, 10 მესანგრეთა ლეგიონი, მანქანების, გზატკეცილების და ქიმიური ათასეულები, სამი—საკავშირო ლეგიონი, სამი რკინის გზის ლეგიონი, ძლიერი ავიაცია (600-მდე თვითმფრინავი) და სხვადასხვა დამხმარე ჯარები.

ომის დროს პოლონეთის არმია გამოიყვანს 60 დივიზიას და ყველა ჯარებთან ერთად ეყოლება სულ მილიონ ნახევარი კაცი. საჭიროების დროს გარედან იარაღითა და მოწყობილობის მხრივ დახმარებით, პოლონეთის არმია შეიძლება აყვანილ იქნას 2 მილიონ ნახევრამდე.

გარდა ამისა, არ უნდა დაივიწყოთ, რომ პოლონეთში იმყოფებიან დიდძალი მსროლელთა, ფაშისტური ორგანიზაციები და სხვა, რომლებშიაც შედის 200 ათასზე მეტი კაცი. ესენი დაიცავენ საზღვრებს და გასწევენ სამსახურს შიგნით, რათა გაათავისუფლონ არმია.

აქედან, ცხადია, რატომ სწუხს ლიტვა. ბრძოლა პოლონეთთან, რომელიც ლიტვაზე 10-ჯერ მეტია, დამარცხებას უქადის მას.

ი.

## მოკლე ვადიანი შვებულება და ტერნაწილებში მივლინება

ქ. მეთაურთა სკოლა

საბანაკო პერიოდი გათავდა. მოკლე ვადიან შვებულებამდი 2-3 დღე დარჩა და კურსანტებიც ემზადებიან, მხოლოდ უფროს კურსს შვებულებაში წასვლის მაგიერ უხდება ტერნაწილებში მივლინება, ვინაიდან მათი მეთაურებად გამოშვება უკვე მოახლოვდა და საჭიროა მათთვის სათანადო პრაქტიკის მიღება. დანარჩენი კურსები-კი (უმცროსი და მოსამზადებელი) ეხლა მიემგზავრებიან მოკლე ვადიან შვებულებაში და შემდეგ იქიდანვე გამოცხადდებიან ტერ ნაწილებში პრაქტიკაზე. 13 აგვისტოს საღამოს 5 საათზედ იქნა მოწვეული სკოლის საერთო კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება ტერ ნაწილებში მუშაობის შესახებ იმ კურსანტების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ, რომლებიც მიევლინებიან ტერ-ნაწილებში.

მომხსენებელმა აღნიშნა და დეტალურად განმარტა ტერნაწილების წარსული წლის შეკრების უარყოფითი მხარეები და მათ გამოსასწორებლად მიღებული ზომები.

იმედია ტერ ნაწილში მივლინებული კურსანტები ენერგიულად მოეკიდებიან ტერ ნაწილებში მუშაობის საქმეს და გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს.

ალ. მუხურაძე.

# ვემზადებით სოფლად სამუშაოდ

(4-ე ლეგიონი)

უკვე დაიწყო ლეგიონის ძირედ შემადგენლობასთან მეცადინეობა-განვლილის განმეორება. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. გაიხსნა 20 დღიანი საბიბლიოთეკო სემინარი, სადაც მეცადინეობა სამ ჯგუფად მიმდინარეობს.

პირველ ჯგუფში მეცადინეობს 12 წითელ არმიელი. ამათი მიზანია—თუ როგორ შეხვდნენ ცვალებად წითელ არმიელებს მოსვლის თანავე. მეორე ჯგუფში მეცადინეობს 50 კაცი. ესენი ემზადებიან იმისთვის, რომ უვადო შვებულებაში წასვლისას როგორ მოაწყონ ქოხ სამკითხველოები, მესამე ჯგუფი ემზადება სამხედრო კუთხეების ხელმძღვანელებად და სხვა. საერთოდ მსმენელები გულმოდგინედ მეცადინეობენ, მეტად დაინტერესებული არიან. მეცადინეობა დღეში სამი საათია.

წრეებს ხელმძღვანელობენ სათანადოდ მომზადებული ამხანაგები. ასე რომ ჩვენი ლეგიონიდან წასული შვებულები ბევრ სარგებლობას მოუტანს სოფელს და მასთან დააკავშირებს მას წითელი ჯარის რიგებთან.

**ოდისეი.**

# მოსპეთ ნაკლულევანება

## მოგვეცით სურათები ნაწილში.

1-ლ ქ. მსროლელ დივიზიას აქვს მინდვრად მოწყობილი თეატრი და კინო-აპარატი. თეატრს დიდი ნაკლი აქვს. სინათლე არ ვარგა, რაც შეუძლებელს ხდის წარმოდგენის ჩატარებას როგორც წესი და რიგია. კინო-სურათები ჩვენთვის —არტლეგიონისა და ცხენოსან ლეგიონისთვის —კამოუდეკარია, ვინაიდან სამ ვერსზე ვართ მოშორებული. კარგი იქნება ეს სურათები აღნიშნულ ნაწილებშივე რომ გაიშვებოდეს.

**წ. მ—ი.**

# ნარევი

### „შავი სიკვდილის ხეობა“

აგარაკ „კრასნაია პოლიანა“-ს ახლოს (სოჩის რაიონში) 50 ვერსზე იმყოფება მივარდნილი ხეობა. ამ ხეობის სახელის ხსენებაც კი შემაძრწუნებელ შიშს ჰგვრის მთიულებს. მათი სიტყვით, მოხვდება თუ არა ადამიანი ან ცხოველი ამ ხეობაში, უეცრად იღუპება, კანი ეხრუკება და უშავდება წვისაგან. ამიტომ ამ საშიშ ხეობას დაარქვეს „შავ სიკვდილის ხეობა“.

ხეობის მთელი ძირი მოფენილია ადამიანისა და ცხოველების ძვლებით. შამილთან ომის დროს ამ ხეობაში დაიღუპა ჩერქეზების მიერ განდევნილი ბარათოვის ცხენოსანი რაზმი—დრაგუნთა სამი ესკადრონი.

ბუნებრივია, რომ ხეობის გარშემო შეიქმნა უამრავი ლეგენდა, თითქოს ხეობაში მეფობს ავი სული და ღუპავს ადამიანებსა და ცხოველებსო.

ხეობის საიდუმლოება ახსნილ იქნა მხოლოდ 1916 წელში, სწავლულთა ექსპედიციის მიერ. სწავლულები ანტაირითა და აირებისაგან დამცველ ტანისამოსით შევიდენ ხეობაში და აღმოაჩინეს, რომ ადამიანები და ცხოველები იღუპებიან რადიო-აქტიურ ნივთიერებისაგან, რაც ჭარბად მოიპოვება ხეობის მთის ჯიშებში. იძულებული იყვნენ გამოკვლევა შეეწყვიტათ, ვინაიდან სპეციალური ტანისამოსი კარგად ვერ იცავდა სწავლულებს სიკვდილის მგვრელ აირებისაგან. ექსპედიციის ზოგიერთი წევრი ინგლისში გაემგზავრა, რათა გამოემუშავებიათ საიმედო შემადგენლობა ტანისამოსის გასაქლენთად. მაგრამ რევოლიუციამ შეაჩერა შემდეგი გამოკვლევა და საქმე მიყრუვდა.

ამჟამად კვლავ აღძრულია საკითხი გამოკვლევის განახლებისთვის.

### „სასოფლო“ კინო ლენტი

კინემატოგრაფიის საქმეში ცნობილ გამომგონებელმა შარლ პატემ დაამზადა ახალი კინო-ლენტი (რომელზედაც იბეჭდება სურათი), რომელსაც ეწოდება „სასოფლო“, ვინაიდან თავისი თვისებების მიხედვით მან ხელი უნდა შეუწყოს კინოს გაძლიერებას სოფლად. ახალი ლენტი ორჯერ ვიწრო და თხელია ჩვეულებრივ ლენტზე. ლენტი იმდენად გამძლეა, რომ ის დაუზიანებლად შეიძლება გაშვებულ იქნას აპარატში ათასჯერ და სრულიად უვნებელია ცეცხლის გამძლე მასალისაგან.

### ტანკი—ტრაქტორი

ინგლისის ფირმამ ბირმინგაგში გამოიგონა ახალი მსუბუქი ტანკი „მარტელის“ სისტემისა, რომლის ამუშავებისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი კაცი.

ამ ტანკის განსაკუთრებული თვისება ისაა, რომ მშვიდობიან დროს ის უჯავშნოდაა და შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო მეურნეობაში, როგორც ტრაქტორი. ტანკს დიდი მომავალი აქვს. ტანკის მმართველი იმყოფება—თავსდებს წინა ჯავშანში, საიდანაც უთვალთვალებს გზას მტრისკენ; დასაჯდომი შეიძლება დაშვებულ იქნას იმდენად, რომ ჯავშანი სრულიად ჰფარავს მას. თვალთვალისათვის მოწყობილი აქვს განსაკუთრებული ფანჯარა. ომის დროს ტანკი შეიძლება შეიარაღებულ იქნას ერთი ტყვიამფრქვევით. გარდა ამისა შეიძლება მისი გამოყენება მნიშვნელოვან ტვირთების გადასატანად.

# პასუხი შეკითხვებზე

— წიქარიშვილს. 1902 წ. დაბ. თუ რომელ თვეში წავლენ შვებულებაში, ამის შესახებ ამ მოკლე ხანში მიიღებს ბრძანებას თქვენი ნაწილი.

— ბენკინაშვილს. შვებულებაში წასვლის შესახებ წაიკითხეთ „წითელ-არმიელი“ № 147.

— შიხიანს. ვინაიდან თქვენ „ბუტკა“ დაგიდგამთ ქალაქის საალმშენებლო ნაწილის ნებადაურთველად, რის უფლება არ გქონდათ, ამიტომ უფლება ქონდათ ის აელოთ იქიდან.

— წითელაურს. თქვენი საკითხის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვება ჯერ-ჯერობით რედაქციას.

— ქვაყუნციელს. ათიდან ოცამდე რიცხვის ჩათვლით თუ მიიღეთ მაშინ არ გეკუთვნით ერთი დღის. ოცი რიცხვის.

— ენგურელს. დანამდვილებით ეს შეგვიძლია გიპასუხოთ, რომ თუ ვინ წავა შვებულებაში, ამის შესახებ ამ მოკლე ხანში მიიღებს ბრძანებას თქვენი შტაბი.

— ღულუნას. სახლში წასვლის დროს მოგეცემათ ყოველივე ის, რაც ხმარებისთვის ვარგისი იქნება.

— ბარამიძეს. გადამწერის კურსები თუ დაამთავრეთ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი. ამ ბრძანების შემცვლელი ბრძანება ჯერ-ჯერობით არ არის.

— კიკნაველიძეს. მოგვწერეთ თუ რომელ წელში ხართ დაბადებული.

— შარვაშიძეს. წაიკითხეთ ენგურელის პასუხი.

— კირაკოზოვს. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა, თქვენი ოჯახი სარგებლობს გადასახადებში შეღავათებით (შეღავათების კანონთა კოდექსი 1924 წ. 29 ოქტომბერი).

— უბნელს. ტრაქტორის კურსებზე ღებულობენ იმ ორგანიზაციების მიერ გაგზავნილ პირთ, რომელთაც სურთ ტრაქტორების შეძენა.

— ალავერდოვს. ვინაიდან თქვენ არ სწერთ თქვენი ოჯახის წევრების წლოვანებას, ამიტომ ვერ გიპასუხებთ ტერნაწილში შეგიძლიათ თუ არა გადარიცხვა.

— ტატეს. თქვენ უნდა მიმართოდ საზოგადოება „მწყემს“-ს, რომ მან თავის მხრივ სთხოვოს იმ დაწესებულებას, რომელიც თქვენზე აქირავებს ცხვრებისთვის საბალახო ადგილებს, მოგცენ შეღავათიან ფასებში, როგორც წითელარმიელი.

— მაისაიას. თუ სახლს გაუკეთეთ ფუნდამენტალური რემონტი, მაგ. სახურავის და სხ. და არა წვრილმანი, მაშინ შეგიძლიათ დახარჯული ფული გამოუქვითოდ სახლის ქირიდან.

— ნალს. სექტემბრიდან იწყება პარტსკოლაში მიღება.

— მასვე. სამხკორის შეურაცხყოფის მიმყენებელი გაზეთში წერილების მოთავსებისთვის სასტიკად ისჯება სასამართლოს წესით.

— სალხინოველს. უნივერსიტეტში შესვლის დროს არ სარგებლობთ შეღავათებით. გამოცდები უნდა ჩააბაროთ.

— ლილუაშვილს. თქვენ ძმას გაიწვევენ ცვალებად შემადგენლობაში.

— სეფაშვილს. მამულის გაყოფის საქმე შეგიძლიათ შეაჩეროთ თქვენ ჩასვლამდე. სამსახურის მოწმობა უნდა წარადგინოთ სასამართლოში.

— არუშანოვს. თქვენ ბინის ქირად უნდა იხადოთ თითეულ კვ. არშინში თითო კაპეიკი და ამ საერთო თვიურ გადასახადს უნდა გამოაკლოთ 25 პროცენტი, როგორც სამხედრო მსახური.

— გაბინაშვილს. მოკლევადიან შვებულებაში ვერ წახვალთ, რადგან თქვენ მიერ დასახელებული მიზეზები არ არის ამისათვის საკმარისი.

— ელბაქიძეს. მიმართედ სამხედრო პროკურორს, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალ-ყური ადევნოს კანონიერად სრულდება თუ არა ყველაფერი.

— კალმკაროვს. თითეულ კვ. არშინში ბინის ქირად თქვენ უნდა იხადოთ თითო კაპეიკი 25 პროც. გამოკლებით, როგორც სამხედრო მსახური (ალმასკომის დადგენილება მარტიდან 1925 წ.).

— შორაპნელს. მუშფაკში შეგიძლიათ შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ორგანიზაცია გაგაგზავნით.

— ძოწენიძეს. თქვენ როგორც შვებული წ. ა. პირველ რიგში იქნებით მიღებული შრომის ბირჟაში.

— ჭელიძეს. პოლიტლექტორი მეცადინეობის დროს შემოსულ ლეგ. სამხკომს არ აძლევს ძახილს და პატაკს.

— № 5. ავადმყოფობის გამო თუ რამდენი თვის შვებულება ეკუთვნის წ. ა. ეს იცის თქვენმა ექიმმა და შემდეგ საგარნიზონო კომისიამ.

— მასვე' არავითარი ნიშანი არ გეკუთვნით, გარდა პეტლიცისა საყელოზე.

— ვასილ გაბანაშვილს. მოკლე ვადიანი შვებულება არ გეკუთვნით.

# ჩვენი ფოსტა

ხიდის პირელს და სამხკორ ა—ი-ს. თქვენი წერილები არ წავა. ფსევდონიმს გარდა საჭიროა სახელისა და გვარის მოწერა.

რემანოზ გოგიშვილს და შ. რევიშვილს. თქვენი ცნობები გადაეგზავნა 1-ლ დივიზიის შტაბს.

შ. გოზნაშვილს. საჭიროა მეტი აღზრდა—არ გამოდგა. მოიწერეთ სხვა თემაზე.

ა. კ-ს. ადმინისტრაციაზე—ჩვენი გაზეთისთვის არ გამოდგა.

ჩოლოქისპირელს. მოსპეთ ნაკლულევანება და ოდისეს—ესეც ნაკლია—არ წავა. გაუშვით ადგილობრივ კედლის გაზეთში.

სულაძეს. ლექსი გრძელვადიან შვებულებაზე—სუსტია. გჭირდებათ ენის დამუშავება. დაეწაფეთ ქართველი მწერლებისა და პოეტების კითხვას.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მ. ლეგ. მე-4 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატებს კომპარტიაში გადარიცხვის შესახებ: 1) ორაგველიძე პანტელეიმონ ელიზბარის ძეს, ოზურგეთის მაზრის სოფელ შუქუთის მცხოვრები. 2) თურქაძე ვალერიან ამირანის ძეს, შორაპნის მაზრის, სოფელ ჩხარის მცხოვრები.

კომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ: 1) მაჭარაძე დავით პორფილეს ძეს (ოცეულის მეთაური, ა. ლ. კ. კ. წ. 1922 წ. ქუთაისის მაზრის სოფ. ხონის მცხოვრები), 2) ვაშაკიძე ვენედიქტე ამბაკოს ძეს (ა. ლ. კ. კ. წ. 24 წ. ქუთაისის მაზ. სოფ. ჯიხაიშის მცხოვ.). 3) ქოჩიშვილი ნიკოლოზ ბეჩოლას ძეს (ა. ლ. კ. კ. წ. 23 წ. თელავის მაზრის მცხოვრები).

გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ზემოაღნიშნული ამხანაგების შესახებ.

**მე-4 ასეულის კომუჯრედი.**

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 1-ლ კომუჯრედში შ... მოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდ... ამხანაგებს: 1. გიორგაძე აკაკი კოსტანტინეს ძეს (კომკავშირის ... ქუთაისის მაზრის, სოფელ ვანის მცხოვრები). 2. ბილიხოძე ევტი... ამბაკოს ძეს (კომკავშირის წევრი, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ჯუ... თის მცხოვრები). 3. მამარდაშვილი კოსტა ნიკოს ძეს (პარტკანდ... დატი, ლეჩხუმის მაზრის' სოფელ ოყურეშის მცხოვრები. 4. რეხვი... შვილი გერასიმე ივანეს ძეს (პარტკანდიდატი, რაჭის მაზრის, სო... ურავის მცხოვრები). 5. ციკოლია ვარლამ ტიმოთეს ძეს (კომკავში... რის წევრი, ზუგდიდის მაზრის, სოფელ ცაიშის მცხოვრები).

ვინც რაიმე უარყოფითი იცის ზემო აღნიშნულ ამხ. შესახე... გთხოვთ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში აღნიშნულ კო... უჯრედში.

**უჯრედის პ. მ. მდივანი ნაფეტვარიძე.**

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-5 ასეულის კომუჯრედში შემო... ტანილი აქვთ განცხადება პარტკანდიდატათ მიღების შესახე... 1. სვანიძე ამბერგი სამსონის ძეს, შორაპნის მაზრის, სოფ. ზორბ... ბეთის მცხოვრები, უპარტიო, 1902 წ. დაბადებული. 2. ზარნა... იაკინთე გიორგის ძეს, შორაპნის მაზრის, სოფ. კინოთის მცხოვრე... ბი, უპარტიო, 1902 წ. დაბადებული.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო ცნობები მოეპოვება მა... შესახებ, გვაცნობეთ აღნიშნულ უჯრედში 15 დღის განმავლობაში.

**კომუჯრედის პ. მ. მდივანი ლომია.**

1-ლ ქ. მ. ლ' მე-6 ასეულის ა. ლ. კ. კ. ჯგუფში შემოტანილ... აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირში მიღების შესახებ შემდ... ამხანაგებს: 1. კოსტონიანც გარეგინ მიკიჩას ძეს, ქ. თბილისი... მცხოვრები; 2. შავარდენიძე ბაგრატი სანდროს ძეს, ცხინვალ... მაზრის, სოფელ სნექვის მცხოვრები; 3. ლალიევი გრიგოლი ეფრ... მის ძეს, ცხინვალის მაზრის, სოფელ ლისის მცხოვრები; 4. ბოს... კოვი ბაგრატ სპირიდონის ძეს, ცხინვალის მაზრის, სოფელ ნიპ... ნეთში მცხოვრები.

თუ ვისმე რაიმე საწინააღმდეგო ცნობები აქვს ამ ამხანაგებ... შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში ზემ... ხსენებულ ასეულის ა. ლ. კ. კ. ჯგუფში.

**მე 6 ასეულის ა. ლ. კ. კ. ჯგუფის ორგანიზატორი აშულოვი.**

მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლი ასეულის 1-ლ კომუჯრედ... შემოტანილი აქვთ განცხადება კომ. პარტ. წევრად გადარიცხვ... შესახეა შემდეგ ამხანაგებს: 1. ტუღუში პავლეს (ამავე ლეგიონ... კლუბის უფროსი), 2. სულაძე არჩილს (პირველი ასეულის წითელ... არმიელს, ორივე კ. პ. კანდიდატია).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ აღნიშნულ პირებ... კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთ... კვირის განმავლობაში ხსენებულ უჯრედში.

**კომუჯრედის პ. მ. მდივანი ს. კორდავა.**

შემოტანილი აქვთ განცხადება და ანკეტები კომპარტია... კანდიდატებად და წევრებად მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ლომინაძე გიორგის, | ოზურგეთის მაზრის სოფ. უჩხობის მცხო... | | | |
| 2. გუჩმაზოვ ლევანს, | ცხინვალის | — | — | სარაბუკის — |
| 3. ალავიძე კირილეს, | ლეჩხუმის | — | — | საირმეს — |
| 4. ბოჯგუა დავითს, | სენაკის | — | — | ზანის — |
| 5. მელიქიძე საგენტის, | ახალქალაქის | — | — | პტენას — |
| 6. წიროვავა ეფრემს, | სენაკის | — | — | კვათანის — |
| 7. ვერულია გიორგის, | სენაკის | — | — | სერმიეთის — |
| 8. ცხვედიანი პეტრეს, | ლეჩხუმის | — | — | ქვიშარის — |
| 9. სულაძე პეტრეს, | რაჭის | — | — | ბარის — |
| 10. კორაშვილი ფორეს, | სიღნაღის | — | — | ბოდბისხევის— |
| 11. რიბზინოვსკი კოსტანტინეს, | ახალციხის მაზრა, დაბა აბასთუმ... | | | |

პირველ ორს—პარტიის წევრებად, დანარჩენებს—კანდი... ტებად.

ყველა ზემო აღნიშნული ამხანაგები არიან უმცროსი მეთა... რები და წითელარმიელები.

მათ შესახებ უარყოფითი ცნობები თუ ვისმე მოგეპოებ... მოგვაწოდონ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ქართულ მსრ. ლე... გიონის 1-ლ კომუჯრედში.

**კომუჯრედის მდივანი ა. ხარაბაძე.**

მე-5 ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხა... დება კ. პ. კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახ... ჯორბენაძე ბესარიონ ლუკას ძეს და კ. კ. წევრობიდან კ. პ. კა... დიდატათ გადარიცხვის შესახებ—კიკაჩეიშვილი კორნელი ივან... ძეს და ჯიოევი ალექსანდრე ნიკოს ძეს.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნული ამხ. პა... ტიაში მიღებაზე, გთხოვთ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

**კომუჯრედის მდივანი ჩაჩანიძე.**

**დაიკარგა** კოოპერატივი „ბოეცი“-ს საწევრო წიგნა... კი № 6790, იონა პახვალას ძე ლოგუ... სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

# თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების საყურადღებოთ!!

## გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია ამი...

აცხადებს, რომ ექსპედიციაში გაზეთების გაცემა თბილისის ნაწილებისათვის სწარმოებს კვირაობი... დილის 8 საათიდან 10 საათამდე, დანარჩენ დღეებ... კი დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე, რი... შემდეგ გაზეთების გაცემა წყდება.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ნაწილებს თავის დრო... ზე წაიღონ კუთვნილი რაოდენობა გაზეთებისა.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.

ნ. დ. ს. ფ.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.